საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 1 21 00280319

06/02/2021

შ.პ.ს. „ერთი“ - ს წარმომადგენელს
ბ-ნ ბექა გურგენიძეს
ქ. ბათუმი, ი. კობალაძის ქ.4, ბ.3
თქვენს 2021 წლის 5 თებერვლის განცხადებაზე
ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ.თბილისის
მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
ასლი შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს (ცნობის
სახით)

გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ თანხმობას (რეკომენდაციას) არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთის (სპეც.ტექნიკა) გადასატანად მარშრუტებზე: 1. თბილისი (გიგანტის დასახლება)–თბილისი (ფალიაშვილის ქ.114) და პირიქით; 2. თბილისი (გიგანტის დასახლება)–თბილისი (კოტე აფხაზის ქ.39) და პირიქით; 3. თბილისი (გიგანტის დასახლება)–თბილისი (ნავთლუღის ქ.114) და პირიქით; ა/მანქანით: სახ. №IO-623-OI, მის. №DD-458-O; მძღოლი: სიმონ რატიანი. (საერთო პარამეტრები დატვირთულ მდგომარეობაში: სიგრძე - 18 მ. სიმაღლე - 4 მ. სიგანე - 3,30 მ. წონა - 35 ტ. ღერძი - 5).

იმ შემთხვევაში, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების საგაბარიტო პარამეტრების კორექტირება შეუძლებელია ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილება/ გადანაწილებას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი თანახმაა მ/წლის 06 თებერვლიდან მ/წლის 06 მაისამდე განახორციელოთ არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთის გადატანა მარშრუტებზე:

1. გიგანტის დასახლება, რუსთავის გზატკეცილი, თბილისის სატრანზიტო შემოსავლელი გზა, სხვიტორის ქუჩა, „ზაჰესის“ ხიდი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, გელოვანის გამზირი, გაგარინის ქუჩა, პეკინის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, თამარაშვილის ქუჩა, გ.წერეთლის ქუჩა, ჩოლოყაშვილის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი, მიშველაძის ქუჩა, მოსაშვილის ქუჩა; უკუმიმართულებით: მოსაშვილის ქუჩა, ჭავჭვაძის გამზირი, მელიქიშვილის ქუჩა, კოსტავას ქუჩა, ალიევის, (მარჯვენა), სანაპირო, გორგასლის ქუჩა, რუსთავის გზატკეცილი, გიგანტის დასახლება.

2. გიგანტის დასახლება-ნავთლუღის ქუჩა N8; გიგანტის დასახლება, რუსთავის გზატკეცილი, გორგასლის ქუჩა, მარჯვენა სანაპირო, გულიას ქუჩა, „ორთაჭალჰესის“ ხიდი, ბერი გაბრიელ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

სალოსის მოედანი, ჰოლბრუკის ქუჩა, ნავთლუღის ქუჩა; უკუმიმართულებით: ნავთლუღის ქუჩა, ჰოლბრუკის ქუჩა, ბერი გაბრიელ სალოსის მოედანი, „ორთაჭალჰესის ხიდი, გულიას ქუჩა, გულიას მოედანი, გორგასლის ქუჩა, რუსთავის გზატკეცილი, გიგანტის დასახლება.
3. გიგანტის დასახლება-კოტე აფხაზის ქუჩა N39. გიგანტის დასახლება, რუსთავის გზატკეცილი, გორგასლის ქუჩა, გულიას ქუჩა, გულუას ქუჩა, გამსახურდიას, (მარჯვენა), სანაპირო, გორგასლის ქუჩა, კოტე აფხაზის ქუჩა; უკუმიმართულებით: კოტე აფხაზის ქუჩა, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, ალიევის, (მარჯვენა), სანაპირო, გორგასლის ქუჩა, რუსთავის გზატკეცილი, გიგანტის დასახლება.
– შემდეგი პირობების დაცვით:

დაცული იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 21 ივლისის №459 „გზაზე არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) ან ზენორმატიული (მძიმეწონიანი) სატრანსპორტო საშუალების სამოძრაოდ დაშვებისათვის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) შეთანხმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს №393 „ტექნიკური რეგლამენტის – „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე დადგენილებები და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მ/წლის 03 თებერვლის №16-01210342586 მიერ გაცემული ტექნიკური პირობები..

- მძღოლის მიერ დაცული იქნას „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გადაზიდვებთან დაკავშირებული სტანდარტებით, ტექნიკური რეგლამენტებით და საერთაშორისო ნორმებით, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური ექსპლუატაციის, სერვისისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთის გადამზიდი სატრანსპორტო საშუალება (არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვის დროს) აღჭურვილ იქნას ნარინჯისფერი ან ყვითელი ფერის ციმციმა სიგნალით შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის №166 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად;
- მაქსიმალური სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 50 კმ/სთ-ს, სატრანსპორტო საშუალება აღიჭურვოს არაგაბარიტული ტვირთის გადასატანად განკუთვნილი დამატებითი ნიშნებითა და სასიგნალო მოწყობილობებით საგზაო მოძრაობის წესების შესაბამისად;
- ქ.თბილისის ტერიტორიაზე ტვირთის გადაადგილება მოხდეს ღამის საათებში (00:00 სთ–დან 07:00 სთ–მდე);
- ტვირთის გადაადგილებას თუ მოჰყვა ხელოვნური საცობის შექმნა, აუცილებელია შეწყდეს ტვირთის გადაადგილება (ტვირთიანი ავტოტრანსპორტი გაჩერდეს წინასწარ შერჩეული საკმაო სიგრძისა და სიგანის ტერიტორიაზე), რათა გატარებული იქნეს მოძრაობის ძირითადი ნაკადი, რის შემდგომაც შესაძლებელი იქნება მოძრაობის განახლება;
- მარშრუტზე არსებულ ხელოვნურ ნაგებობაზე (ხიდები, გზაგამტარები) ზენორმატიული დატვირთვით გამავალი ავტოსატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო გადაადგილებისათვის, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი მდორე და შეუჩერებელი მოძრაობა სავალი ნაწილის ღერძულა ხაზზე (ან საგზაო–საექსპლუატაციო ორგანიზაციის მითითებით წინასწარ დატანილი სპეციალური ხაზის გასწვრივ) არაუმეტეს 5–8 კმ/სთ სიჩქარით. ხიდებზე ამ დროს არაგაბარიტული ტვირთის გარდა არ უნდა იმყოფებოდეს სატრანსპორტო საშუალებები და სხვა;
- აღნიშნულ მარშრუტზე მდებარე ქალაქებსა და რაიონებში საკონტაქტო ელექტრო ხაზების, კომუნიკაციების, ასევე გაზის გაყვანილობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად და საკონტაქტო ქსელში ძაბვის გამორთვის და საკონტაქტო ხაზის

აწევის მიზნით, სათანადო დახმარების აღმოჩენა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ქალაქების ელექტროტრანსპორტის საკონტაქტო ქსელების სამსახურების წარმომადგენლებმა, თქვენს მიერ მათთან წინასწარ შეთანხმების შემდეგ;

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა გზაგამტარზე უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ მათ ქვეშ მოძრაობის არარსებობის შემთხვევაში, იმ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ გზაგამტარის ან ხიდის ქვეშ არსებულ გასასვლელს;
- ხელოვნურ ნაგებობაზე ზენორმატიული დატვირთვით მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალების გავლის მომენტში მასზე უნდა აიკრძალოს სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობა;
- იძულებითი გაჩერების შემთხვევაში საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება ხელოვნური ნაგებობიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების გასაყვანად.
- აღნიშნულ მარშრუტზე არაგაბარიტული ტვირთის გასაცილებლად, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე გამოყენებულ იქნას შესაბამისი უწყების სპეციალური შეფერილობის, სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი სპეც.ა/მანქანა;

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება ზემოაღნიშნული პირობების დაცვაზე. დარღვევის შემთხვევაში გაატარეთ ზომები კანონმდებლობის შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით